ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 148

“ 10 ” ივნისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 56359 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.062) 320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მეთეგისთვის“ (ს/კ №405082967) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №386 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 18 მაისის განკარგულების №19.14.433 „შპს „მეთეგისთვის“ (ს/კ №405082967) ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 56359კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.17.01.065.062) 320კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის №40.10.1154 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გათვალისწინებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალუტეტის მთავრობის 2016 წლის 18 მაისიის №19.14.433 განკარგულება და ამავე განკარგულებით განსაზღვრული ცვლილებების შესაბამისად, შეტანილი იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №386 „ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 56359 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.062) 320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მეთეგისთვის“ (ს/კ №405082967) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ” განკარგულებაში და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეთანხმებული იქნეს ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა 32 300 (ოცდათორმეტი ათას სამასი) ლარის ოდენობით.“

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება ვასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი